ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 404

"30" ოქტომბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ. დიღომში ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის ქუჩისთვის მწერალი, გენერალ-ლეიტენანტი დავით ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, სოფ. დიღომში ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის ქუჩას მიენიჭოს მწერალი, მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი, დავით ბატონიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

X 477239.764
Y 4626588.410
X 478178.982
Y 4626429.831